ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 285 1918 წ. კარასკევი ივლისის 19 № 285

სახალხო საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო

მთავრობის დადგენილებით ლტოლვილებს აქვთ საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლა.—განჯაში ოსმალოებმა სომხებს ათი დღის ვადა მისცეს იარაღის აყრისათვის.—ხმები დადის კონფერენცია სტამბოლის ნაცვლად ბერნილში იმუშავებსო.—დასავლეთის ფრონტზე გერმანელებმა 18000 კაცი დაატყვევეს და მტრის 36 ჰაეროპლანი ჩამოაგდეს

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 50 კაპ., უკანასკნელზე—30 კაპ., კავკასიის გარეშე მიდებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ—1 მან., უკან—50 კაპ. ფასი სამგლოვიარო განცხადებისა ზომაზეა. დამოკიდებული: 15—2 ღირს 10 მან., 20—2 ღირს 15 მან., 3 საათის შემდეგ სამგლოვიარო განცხადება მიიღება სტამბა „სახალხო საქმეში“ (კ. თავართქილაძესული „ნადეედა“) ბარონის ქუჩა, სახლი № 14 და ეღირება საში მანეთით მეტი.

ყველა განცხადება კავკასიის გარეშე, მიიღება მხოლოდ რედაქციაში.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო საქმის“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება: ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ „Сахалхо Сакмэ“, поч. ящ. 190.

ფასი ტფილისში და პროვინციაში 40 კაპ. რკ. გზის საფოსტო 50 კაპ.

ტელეფონი 12—29

გაზეთი „სახალხო საქმე“ ღირს:

ერთის თვით 8 მანეთი. ნომერი ღირს პროვინციასა და ტფილისში 40 კ., რკ. გზის სადგურებზე 50 კ.

ხელისმოწერა გაზეთზე მიიღება რედაქციაში დილის 9 საათიდან 3 საათამდე, ფოსტით ასე: ტფილისი, ფოსტის უთი 190, „სახალხო საქმის“ რედაქციას.

ვანო შაქრო და ვახტანგ გიორგის ძენი მღვინეთხუცესიშვილები მწუხარებით აუწყებენ ნათესავებსა და ნაცნობებს, რომ ქ. ტფილისში მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა სიძე

მღვ. მიხეილ (მიშა) ალექსის ძე გაგლოშვილი

პანაშვიდი საღამოს 8 საათზე (ახ. დრ.) მიხეილის საავადმყოფოს ეკლესიაში. გამოსვენება პარასკევს 9 საათზე კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე სადაც იქნება დაკრძალული. 759

ღრმად დამწუხრებულნი მღვდელი გაიოზ ბესარიონის ძე ძიმისტარიშვილი შვილებით: ანა, თამარ, მიხეილი და რძალი ელენე ამით აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ 1918 წ. ივლისის 17-ს გარდაიცვალა ძვირფასი და დაუვიწყარი

ალექსანდრე (საშა) გაიოზის ძე ძიმისტარიშვილი

პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 ნახ. საათზე (ახალ დროით). ცხედარს გამოასვენებენ შაბათს, ივლისის 20-ს 10 საათზე საკუთარი ბინიდან (სტრელკოვის ქ. № 9) ჩუღურეთში წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 760

ივლისის 17-ს, მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

ეკატერინე თომას ასული პავლიაშვილისა,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ შვილნი განსვენებულისა: ალექსანდრე, დავით, მარიამ, ელენე და ნინო. პანაშვიდი ყოველ საღამოს 7 ნ.ხ. საათზე; გამოსვენება ივლისის 20-ს დილის 9 ნახ. საათზე, საკუთარი სახლიდან (ანჩისხატის და. ბაგრატიონის ქ №№ 12 და 13) ანჩისხატის ტაძარში, დაკრძალვა კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. 762

გაუბედურებული მეუღლე ვლადიმერი, გულდამწვარი მაზლი სამსონი (მისი გაზრდილნი) მაზლის შვილები: გუგუ, ჯვეზე და ტოგო მხეიძენი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობრებს, რომ შაბათს, ივლისის 20-ს მცხეთის საკათალიკოზო ტაძარში გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და იქვე სასაფლაოზე პანაშვიდი უდროოდ დაკარგული

ლიბო გიორგის ასული მხეიძის

სულის მოსახსენებლ დ. 761

ღრმად დაწუხრებულნი ქვრივი ოლგა (ოლინკა) გაბრიელ გეგეჭკორის ასული ჭოთავანი, სიდედრი ქრისტინე იესეს ასული გეგეჭკორისა, ცოლის ძმები: სიმონ, რევენტი და გალაქტიონ გაბრიელის ძენი გეგეჭკორები, ცოლის დები: პარასკევა გაბრიელის ასული შუბლაძისა, რიფსიმე და მარიამ გაბრიელის ასულნი გეგეჭკორები, რძალი ეკატერინე მინას ასული გეგეჭკორისა და ქვისლი პოლიკარპე კლიმენტი მეთოდეს ძე შუბლაძე გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავ-მეგობრებს და ამხანაგებს, რომ თბილისის მიერ ვერაგულად იქნა მოკლული სადგურ არჩჩის უფროსი ძვირფასი და დაუვიწყარი

იოსებ პავლეს ძე ჭითავა

რომლის სულის მოსახსენებლად წირვა და პანაშვიდი დანიშნულია შაბათს, ივლისის 20-ს, სოფელ დიდ ჯხაიში წმიდა გიორგის ეკლესიაზე. 764

დიდი ცირკი

ძმ. ეფიმოვებისა

ქიზიყელის ქუჩ., მეუშტ. ახლო, საკუთ. ახლად შეკეთ. კაპიტალური სახალმთრო შენობა, ტელეფ. 18—00.

დღეს ივლისის 19 ს 1918 წ. გაიმართება

დიდი წარმოდგენა

ოთხი მეფისტოფელი, მფრინავი ადამიანები, გასტროლი ცნობილი სლასტუშინსკისა.

ანონსი, შაბათს, ივლისის 20-ს, გაიმართება ბენეფისი ძმ. რიგოსი.

766 მთავარი გამგე: ჯ. ეფიმოვი.

ანონსი

შაბათს, 1918 წლის ივლისის 13-ს გაიხსნება პირველი ხარისხის სასადილო

„საქართველო“

ყოფილი „ამირანი“ პუშკინის ქუჩა ძველი სემინარიის შენობაში, შენობა ახლად შეკეთებულია ცალკე კაბინეტებით დაუკრავს სიმებიანი ორკესტრი.

სადილი შუადღის 12 საათიდან საღამოს 5 საათამდე, ვახშამი საღამოს 9 საათიდან ღამის 1 საათამდე. სამზარეულო აზიური და ევროპიული, საჭმელები კეთდება საუკეთესო მასალიდან საუკეთესო მზარეულის ხელმძღვანელობით.

ტფილისი. 1918 წ. ივლისის 18.

მკითხველის ყურადღება სახიფათო გვინდა მივაქციოთ ორ ნიშნები. წერილს. ერთი „კავკაზსკოე სლოვო“-შია დაბეჭდილი, მეორე—სოციალ-დემოკრატიულ „ბორბა“-ში. ორივე ეს წერილი ნათლად მოწმობს, რომ იდეა საქართველოს სახელმწიფოებრივობისა ძალიან დიდს ხიფათშია და ხიფათს მას უმზადებს არა იმდენად ის მოუწყობლობა ჩვენი შინაური ცხოვრებისა, რამდენადაც სისინი „მეგობრებისა“, რომელთაც ვერც შეუთვისებიათ იდეა ჩვენი დამოუკიდებლობისა და არც ჰსურთ შეითვისონ. „ბორბა“-ში საქართველოს მთავრობას ვინმე ბ-ნი პ. ალექსანდროვიჩი ასეთს დარიგებას აძლევს: „ყველაზე უმთავრესი ის არის, რომ კარგად მოწყობილი უნივერსიტეტი ტფილისს მთელი ამიერკავკასიის კულტურულ ცენტრად გადააქცევს და ამრიგად განმტკიცებოდა ის კავშირი, რომელიც მეგობრულ თანამშრომლობის და პოლიტიკური გაერთიანების საფუძვლად გადაიქცევა“. ამ მოსაზრებით ავტორი რჩევას აძლევს მთავრობას ქართული უნივერსიტეტი სახელმწიფო უნივერსიტეტად არ გადააქციოს.

ჩვენ, რასაკვირველია, სრულიად არაფერი საწინააღმდეგო არა გვაქვს იმისა, რომ ტფილისში რუსული უნივერსიტეტიც იყოს, არც იმისი წინააღმდეგი ვართ, რომ ტფილისი ამიერკავკასიის კულტურულ ცენტრად გადაიქცეს, მაგრამ რა კავშირი აქვს ყველაფერს ამას საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტთან, ეს კი ვერ გაგვიგია და ვერც მკითხველი გაიგებს, თუ არ იგულისხმებს, რომ, როდესაც ბ-ნი ალექსანდროვიჩი კულტურაზე ლაპარაკობს, რუსული კულტურა აქვს მხედველობაში და როდესაც გაერთიანებაზე ლაპარაკობს, ჰგულისხმობს ისეთს გაერთიანებას, რომელიც რუსული სახელმწიფოებრივობის დროშის ქვეშ უნდა მოჰხდეს.

თავი და ბოლო „ბორბა“-ში დაბეჭდილი წერილისა ეს არის.

მაგრამ შეეფერება თუ არა ოდნავ მაინც ასეთი აზრი იმ მდგომარეობას, რომელშიაც დღეს საქართველო იმყოფება?

საქართველო დამოუკიდებელია და „ბორბა“-ას თანამშრომელი რომ ჩვეულებრივ რუსულ სიზმრებს არა ჰხედავდეს, ეცოდინება, რომ საქართველოს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ეს სახელმწიფოებრივობა განამტკიცოს და გააღრმავოს, გააღრმავოს ისე, რომ საქართველო საქართველოდ იქცეს მთელი თავისი შინაგანი კულტურული სახით. დამოუკიდებლობა სხვათა შორის იმითაც არის ძვირფასი, რომ იგი საშუალებას აძლევს ერს შეუზღუდველად გარდაქმნას თავისი ცხოვრება და განავითაროს ეროვნული კულტურა. დამოუკიდებლობამ საქართველოს სკოლის გაეროვნებაც თუ ვერ მოუტანა, მაშინ ჩვენი დამოუკიდებლობა პოლიტიკური დონკიხოტობა იქნებოდა და ამხაირ დონკიხოტობას კი საქართველო ვერ ჩაიდენს. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მთავრობა ამნაირ რჩევას ხელმძღვანელობაში არ მიიღებს, რადგანაც წინააღმდეგ შემთხვევაში იგი საქართველოს მთავრობა კი არა, რუსეთის დაქირავებული მოხელენი იქნებოდნენ. თუ შევჩერდით ამ წერილზე, ხოლოდ იმიტომ, რომ დაგვეხახვინა მკითხველისთვის, როგორ შეცდომიან ჩვენს დამოუკიდებლობას და ორ საშუალებებით ჰსურთ დ სცენ ჩვენი ნორჩი დამოუკიდებლობა.

მეორე წერილი „კავკაზსკოე სლოვო“-შია დაბეჭდილი და აქაც გაერთიანებაზეა ლაპარაკი ხოლოდ სულ სხვა სფეროში—რკინის გზებზე. ამიერკავკასიის რესპუბლიკათა რკინის გზების მმართველობა უნდა გაერთიანდეს, ბრძანდეს გაზეთი. „ამიერკავკასიის რესპუბლიკის“ გაზეთი, ალბათ, ზოდილობის გულისთვის ჰხმარობს, თორემ როგორ შეიძლება ადამიანი ამბობდეს, ოსებოლა დამოუკიდებელი რესპუბლიკები და ამ რესპუბლიკებს კი ოკიხის გზების ძართვა გამგეობა ერთი უნდა ჰქონდეთო. არ ვიცით, რას ეტყოდა ავტორი იმას, ვინც დამტკიცებდა, რომ საჭიროა რუსეთისა და გერმანიის რკინის გზების მართვა-გამგეობის გაერთიანებას. არა გვგონია ამის მთქმელი ავტორს საგიჟეთში არ ჩაესვა. ლინდაგი ერთიც შეიძლება იყოს; ეს უბრალო კონვენციებით მოეწყობა. მაგრამ საქართველოს რკინის გზების პატრონად და მმართველად რომ ექსტერიტორიალური დაწესებულება გაგზადოთ, ეს ისეთი აბსურდი იქნება, რომლის მსგავსიც ჯერ არაფერი გაგონილა.

და თუ მმართველობა ექსტერიტორიალური არ იქნება, სხვაფრივ როგორ უნდა მოხერხდეს მისი გაერთიანება, ეს, ალბათ, გაზეთის ღრმა საიდუმლოებას შეადგენს. გაზეთმა შეიძლება სთქვას, მართვა-გამგეობა შეიძლება ჩაბარდეს სამი რესპუბლიკის მიერ არჩეულ კომისიასაო. მაგრამ შეერთებული რამ კომისიის არჩევა მოძრაობის გასერთიანებლად ჯერ კიდევ არა ნიშნავს მმართველობის გაერთიანებას. მმართველობა იმდენად რთული და სახელმწიფოსთვის დიდმნიშვნელოვანი სისტემაა, რომ ამ სისტემის გადაცემა სხვის ხელში არც ერთს სახელმწიფოს არ შეუძლიან. სახელმწიფოსთვის რკინის გზას უდიდესი პოლიტიკური და სტრატეგიული ნიშვნელობაცა აქვს და ამ მნიშვნელოვანი საქმის გადაცემა სხვის ხელში ხოლოდ ისეთს მთავრობას შეუძლიან, რომელსაც თითონაც არ ესმის, რომ იგი სახელმწიფოს მთავრობაა.

ჩვენ ისეთი ცუდი აზრისა არა ვართ ჩვენს ძალოვნობაზე, რომ ასეთი ნაბიჯების გადადგმა მივაწეროთ. თუ შევჩერდით, ხოლოდ იმიტომ, რომ ამ შემთხვევაშიაც დაგვენახვებინა მკითხველისთვის, საიდან უვლიან საქართველოს დამოუკიდებლობას და ოგორი საშუალებებით ცდილობენ დაანგრიონ ჩვენი ნორჩი რესპუბლიკა.

როგორც პირველი წერილის, ისე მეორე წერილის ავტორს არ ჰსურთ ანგარიში გაუწიონ იმას, რომ საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფოა და ამიტომ მას თანა სდევს ბუნებრივი სახელმწიფოებრივი ლოდიკა.

ეს ლოდიკა კი გამოიხატება იმაში, რომ საქართველო, როგორც სახელმწიფო, ერთია და ამ ერთს სახელმწიფოს სახელმწიფოებრივი მექანიზმიც ერთი უნდა ჰქონდეს. ყოველი რგოლი ამ მექანიზმისა სახელმწიფოებრივი მექანიკის რკინის კანონების თანახმად უნდა იყოს აწყობილი. ეს არის ჩვენი მორიგი საკითხი და თუ ეს საკითხი მთავრობამ დროზე არ გადასწყვიტა, ჩვენი დამოუკიდებლობა დიდს ხიფათში ჩავარდება.

სტამბოლის კონფერენცია.

კონფერენციაზე განიხილულია შემდეგი საკითხების გარჩევა: 1, საერთო მდგომარეობა კავკასიაში, 2, ოსმალოების შეტევა ბაქოზე, 3, ამიერკავკასიის რესპუბლიკები 4, ბოლშევიკები ბაქოში,

პლენარული სხდომები გრაფ შულენბურგის ჩამოსვლის შემდეგ დაიწყება.

—

როგორც სანდო წყაროებიდან გამომგზავნეს, დიპლომატიურ წრეებში ამ ამბავზე საკითხია აღძრული, რომ სტამბოლის კონფერენცია ბერლინში გადაიტანონ.

—

გრაფი შულენბურგი ივლისის 19-ს ფოთში მიემგზავრება, და იქიდან სტამბოლში კონფერენციაზე მონაწილეობის მისაღებად.

—

უკვე გადაწყვეტილია, რომ საბჭოთა მთავრობაც მიიღებს მონაწილეობას სტამბოლის კონფერენციის მუშაობაში.

გერმანელები და ბაქო

„კავკაზიზე პოსტი“ ოფიციალური წყაროებიდან გადმოგვცემს, რომ გერმანიას დელეგაციის ცდა მიმართულია იქითკენ, რომ შესწყვიტონ ბრძოლა ბაქოსკენ და აღადგინონ რკ. გზის მიმოსვლა ბაქოსა და ტფილისს შუა. ფონ-ფელდმანს, რომელიც ნურიფაშასთან გაემგზავრა განჯაში, კატეგორიული ბრძანება აქვს მიდებული ენვერ-ფაშასაგან, რომ სტამბოლის კონფერენციის დადგენილებამდე შეწყვიტონ საომარი მოქმედება. ამ გვარი წინადადება აქვს ფონ-პალენს, რომელიც ჰაეროპლანით გაემგზავრა ბაქოში და იქიდან მოსკოვს.

უკანასკნელი დღეების ბრძოლას გაზეთი არავითარ მნიშვნელობას არ აწერს, რადგან იგი უმთავრესად სომხების წინააღმდეგ არის მიმართული.

მომავალში ბაქო თავისუფალი ქალაქი იქნება, მეზობელ სახელმწიფოთა შემადგენლობაში არ შევა, მაგრამ დაინტერესებულ დიდ სახელმწიფოთა ეფარველობის ქვეშ იქნება.

ბრძანება საქართველოს რესპუბლიკის ლაშქარში.

უბრძანებ ყველა ოფიცერს და სამხედრო ძოხელეს, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის ლაშქარში ნამდვილ სამსახურში არ იმყოფება, სამსახურში მყოფ ოფიცრებისა და სამხედრო მოხელეებისათვის შემოღებული ნიშნები ძოიხსნან.

ნამდვილ სამსახურში მყოფ ოფიცრები და სამხედრო მოხელენი ძოვალენი არიან თან იქონიონ პიროვნების მოწმობა ფოტოგრაფიული სურათით. სამსახურიდან გასულმა ოფიცრებმა, რომელთაც სამხედრო ტანისამოსის ტარების ნება აქვთ, ძეციხოვნე ჯარის უფროსისაგან შესაფერი მოწმობა უნდა აიღონ.

ქ. ტფილისი 1918 წ. ივლ. 17.

ომის დეკეშები

დასავლეთის ფრონტი

ბერლინი. ივლისის 17. საომარი ცნობა.

კრონპრინც რუპრეხტის ლაშქარი: საღამოს ბრძოლა გაძლიერდა. იპრის სამხრეთ დასავლეთით ჩვენმა მხვრეველებმა ტყვეები იგდეს ხელთ. ეპიუტერხის სანხრეთ-აღმოსავლეთით მტრის იერიშები უნაყოფოდ ჩატარდა.

გერმანელ კრონპრინცის ლაშქარი: სვიერის რაიონში, და შატო-ტიერის დასავლეთით ჩვენ სიურმელინის სექტორამდე წავიწიეთ. ჩვენი ფრონტის პირდაპირ, მარნას სამხრეთ სანაპიროზე მტერმა ძლიერი კონტრ-იერიში მოიტანა, მაგრამ უკუქცეულ იქმნა. მარნას ჩრდილო ნაპირით ბრწყინვალე მოქმედებას განვაგრძობთ. მტერს დავედევნეთ და მივაღწიეთ ვენტეილის ჩრდილო მაღლობს ბრძოლით გავიარეთ როდემატი და სამეფო ტყეარდრის ოსოსავე ნაპირას ჩვენ გავუეკეთ მტერი მთაგორიან ადგილებში მანტეილიუსკენ და კურსის ჩრდილოეთით. რეიმსის აღმოსავლეთით მდგომარეობა უცვლელია. ტყვეების რიცხვი 18.000-მდე ავიდა.

საჰერო ბრძოლაში გუშინ მტრის 36 ჰაეროპლანი და 3 საჰაერო ბალონი ჩამოვაგდეთ.

პალესტინის ფრონტი

ბერლინი. ივლისის 17. ზღვის სანაპიროთი ძლიერი საარტილერიო ბრძოლაა. მტრის ქვეითა ჯარის იერიში იორდანეს სანაპიროთი მოვიგერიეთ.

გაცხოველებულ საჰაერო ბრძოლაა მთელ ფრონტზე, სხვა ფრონტზე მდგომარეობა უცვლელია.

უცხოეთი

მირბახის დაკრძალვა.

ბერლინი. ივლისის 16. სამშაბათს ჰალფის კოშკში დაკრძალეს მოსკოვში მოკლული გრაფი მირბახი. დაკრძალვას დაესწრო რუსეთის საბჭოთა მთავრობის დელეგაცია გენ.-ლეიტ. ოდინცოვის მეთაურობით.

რუსეთის საბჭოთა ყრილობა.

მოსკოვი. ივლისის 15. რუსეთის საბჭოთა ყრილობა ივლისის 9-ს გაიხსნა. ტროცკიმ მოხსენება წაიკითხა ს-ოეს. აჯანყების შესახებ, რომელშიც სთქვა—ეს ჯერ-ადრე რუსეთში ერთი კაციც არ აროს, გერმანიასთან ომის გაახლება რომ სურდესო.

კონგრესმა რეზოლიუცია გამოიტანა, რომელშიც მოითხოვენ, რომ სასტიკად იქნას დასჯილნი გრ. მირბახის მკვლელები.

საბჭოთა ძალა-უფლება

მოსკოვი. ივლისის 16. მოსკოვის პრესა იტყობინება, რომ საბჭოთა ჯარმა აიღო სიზრანი და ბუგული. მათ ხელშია აგრეთვე ნიკოლაევის რაიონი ჩელიაბინსკ-ეკატერინბურგის ფრონტზე ჩეხ-სლოვაკების ჯარში უთანხმოებაა. ციმბირის თავრობისა და იაპონიის შორის დამოკიდებულობა მწვავდება, რადგან იაპონია ეტად ბძანე პირობებს აყენებს.

ამერიკა და რუსეთი.

მოსკოვი. ივლისის 16, „ნოვაია ჟიზნ“ იყოველთვილია ვილსონის აზრი რუსეთის შესახებ, მას უთქვამ, გულგრილად ვეო ვუყურებ იმას, რომ გერმანელები რუსეთის ჯობნა-სიმდიდრეს ითვისებენო.

ოსმალეთის გემები.

სტამბოლი. ივლისის 16. ბოსფორში დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან საბჭედრო გემები: „იანუსი“, „სულთან სელიმი“. „გამიდიე“, და კრეისერი „ალჯიდიე“.

ალჯიდიე 1916 წ. მარტში ნადმს წაეფეთქა ოჩაკოვის მახლოსლად და ... ...

გრამ თუ გულში ვიქონიებთ, რომ ხსენებული წამების შემოკლებული ქართული რედაქცია წარმოადგენს შემოკლებული სომხური რედაქციის თარგმანი, საეჭვოა მაშინ ბ. გორგაძის ტექსტის ორიგინალობა.

თანახმად მოყვანილი მოსაზრებისა უნდა ითქვას, რომ იაკობ ხუცესი ისევე, როგორც ავტორი წმ. შუშანიკის ცხოვრების შემოკლებული სომხური რედაქციისა სომეხი უნდა იყვეს სომხურად აღმწერი ხსენებული ცხოვრებისა, ხოლო მისი ქართული თარგმანი იმ დროინდელია, როცა სომხურ ენას გავლენა ჰქონია ქართულზე, გადაწერილია X საუკუნეში.

ძეგლის ისტორიას მისი სიძველის გარდა აძლიერებს აგრეთვე ის გარეგნობა, რომ ძისი ავტორი იაკობ ხუცესი იმ დროის ეი. მეხუთე საუკუნის კვლობაზე შესანიშნავი მწერალიც აოსტორადგანაც წმ. შუშანიკის წამების აღწერისთანავე გვაწვდის მრავალ ცნობის, რომელიც გახანასიათებს მაშინდელ ქალაქობრივ, საზოგადოებრივ, თუ საოჯახოებრივ მდგომარეობას ქვეყნისას, ვაოსქენ არმეშისძე. წმ. შუშანიკის მეუღლე სპარსთა მეფისაგან პატიმრად (ძეფის ნაცვლად) ყოფილა თუ ქართლს აოა, ჭეოთ მი ააიც ეოდელიც იყო ქვეყანა ქართლისა, ხოლო საჯდომათ ჰქონია ჰეოეთის დაბა ცურაკავი, სადაც სცხოვრობდა თავის ეეუღლით შუშანიკ დედოფლითა. მაშინდელი ეკლესია ხებას აძლევდა ეპისკოპოსს ცოლიანობისას როგორც იყო მად. აფუტ ეპისკოპოსი მაძა მძეძე შუშანიკისა, ხოლო ძმები იმ დროსვე ქვისლეი ყოფილიყვნენ, როგორც ვასქენ და ჯოჯიკ, რომელსაც ჰყვანდათ დაი შუშანიკისა. ჰეოეთის ქვეყანს ჰავა ხხამიანი, ხოლო მცხოვრებნი აის გამო დაავადებული იყვნენ ეგზომ, ანალგაზდები ინოცეოდნენ. აი ორა სურათებოვ გადმოგვცეს აგიოგრაფი ქვეყნის ბუნებასა: „ეამსა ზაფხულისასა ცეცხლებრ ბეწული იგი ხხურვალებაი ეხისაი, ქაოხი ხორშაკხი და ყყალხი ძავნებელხი; რომლისა მკვიდრხიცა მის ადგილისანი სავსენი სეხითა, ყყლითა გახიეებულხი და გახყვეტილებულნი, დაწოტილნი და დაამოლახი და დამლიეეებულხი, ჩარადოვახხი, პირმსივანხი და დღეთოკლად ცხოვრებულხ; და ძოხუცებული არავიხ აოს ძათ ქვეყანათა“. (გვ. 17).

ვაოსქენ პატიანზხი ცეცხლის მსახურეთად ინდოეკილ იყო, აგიხებდა აფუტ ეპისკოპოსს ცუოტა

ბა არ გადაეცემათ ხმოსნების დაუსწრებლობის გამო. ოცდა თორმეტ ხმოსანში შეიძლება დაესწროს ორხელ, სამხელ გადადებულ, „არაჩვეულებრივ კრებას ძლივს-და თვრამეტამდე; ჩვეულებრივად კი ესწრება 14, 15 ხმოსანი. ყოველნაირ ზომებს მიმართეს, მაგრამ საქმეს აღარაფერი ეშველა—იშვიათი სტუმრების მოსაწვევად. უკანასკნელად რამოდენიმეჯერ მიმართეს ფრაქციებში „გარჩეულიყო“ ეს საკითხი, მაგრამ უშედეგო გამოდგა. საჭიროა რეპრესიული ზომები, ან და როგორც ხმოსნებიდან, აგრეთვე პარტიიდან უნდა იქნას გაძევებული ის ხმოსნები, რომლებიც სისტემატიურად არ ესწრებიან კრებას.

ამნაირად, ქალაქის საბჭოს კრება, რომელიც უნდა მომხდარიყო ივლისის 3-ს, ხმოსნების დაუსწრებლობის გამო მოხდა 4-ს, როგორც არაჩვეულებრივი.

კრება შვიდი საათის მაგიერ ცხრის ნახევარზე გაიხსნა. თავმჯდომარეობდა გ. ჩიტაია. კრებას დაესწრო 15 ხმოსანი. სხდომის გახსნისას თავმჯდომარე იხსენიებს პროლეტარიატის მედროშეს გ. პლეხანოვს და წინადადებას აძლევს დამსწრეთ, ფეხზე ადგომით პატივისცენ მის ხსოვნას.

შემდეგ ამისა წინანდელ სხდომის ოქმს კითხულობს მდივანი ლ. კიღურაძე, რომელსაც ერთხმად ადასტურებენ. გემების იჯარით გაცემის შესახებ მოხსენებას აკეთებს გამგეობის წევრი მიხ. ესაკია (ს.-ფ.) მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ქალაქის განკარგულებაში მყოფი ნავთსადგური და გემები ითხოვს აუარებელ ხარჯებს შემოსულა ქალაქის გამგეობაში განცხადება გემებისა და საწყობების იჯარით გადაცემის შესახებ. მაგრამ ვიდრე ამ სახითვე იურიდიული კომისია მოაგვარებდა, შემოვიდა მეორე განცხადება მოქალაქე ლ. ზოდელავანი, რომელიც მოითხოვდა ერთი გემის ექვსი თვით იჯარით მიცემას. ამაზე პრინციპიალურად შევთანხმდითო, ამბობს მ. ესაკია, და შევიმუშავეთ პირობები, მაგრამ ამ დროს მთავრობისაგან მივიღეთ განკარგულება, რომ კერძო პირებს არ მისცეთ იჯარით გემებიო. გამოგზავნილი იყო მთავრობისაგან რწმუნებული ჯიმლაძე და ბ. ცინცაძე. მათთან ერთად გამგეობამ იქონია მსჯელობა და გადავწყვიტეთ არამც და არამც არ მიეცეს გემები კერძო პირებსო და დავადგინეთ, რომ ქალაქმა თვით ამუშაოს გემები და საქონლის გადმოტან-გადმოტანისთვის საქონლის პატრონთ გადაახდევინოს ქირა ფუთზე ხუთი მანეთი.

ამის შემდეგ „ოქროს-ვერძის“ აქციონერულ საზოგადოებიდან შემოვიდა განცხადება მიგვეცა მათთვის ხე-ტყის გადასატანად არა იმ ფასებში, რომელიც ჩვენ დავაწესეთ, არამედ რვა აბაზად ფუთში. ჩვენ ვიქონიეთ მსჯელობა და გადავწყვიტეთ, რომ დათმობოდა მათ სამ მანეთად ფუთზე. მაგრამ კიდევ შემოვიდა განცხადება მოქალაქე ლ. ზოდელავანი, რომელმაც განაცხადა: მე მაქვს საქონელი გადასატანი და იმ ფასებში მოგვეცით, რომელიც თქვენ გაქვთ დაწესებულიო. ჩვენ ამის შესახებაც ვიქონიეთ მსჯელობა მინისტრების წარმომადგენლების თანადასწრებით და გადავწყვიტეთ, რომ რვა აბაზათ მიგვეცა ხე-ტყის გადასაზიდად, ვიდრე ვიფიქრეთ, საქონლის გაცვლა-გამოცვლა სხვა ქალაქში ჩვენ მეტ სარგებლობას მოგვიტანსო. დღესდღეობით ჩვენ ხელთ იყო გემი „დობროვოლეცი“, რომელიც უკვე გადაეცით სურსათის მინისტრის რწმუნებულს ცინცაძეს რუსეთიდან სურსათის მოსატანად, რომელი გემიც ფოთიდან წაიღებს აქც. საზოგადოებისა „ოქროს ვერძის“ ხე-ტყეს.

გადაწყვეტილება ქალაქის საბჭომ მიიღო ცნობად.

მეორე იყო მოხსენება იგივე ნ. ესაკიასი ქ. ქუთაისში ივნისის 18—19-ს მოხდარ ქალაქთა წარმომადგენლების კრებაზე. მოხსენება ვრცლად იყო წაკითხული, რომელიც გამოიხატებოდა უმთავრესად ორ მუხლში. ეს მუხლები: რკინის გზის გაყვანა მამისონის უღელტეხილით ბესლან-პეტროვსკ-ადაგირ-ფოთი და ფინანსიური დახმარება ნორჩ რესპუბლიკას. კრებამ გადაწყვიტა პირველ კითხვაზე, რომ ვანაიდან ზემოხსენებული რკინის გზა დიდ სარგებლობას მოუტანს ქალაქ ფოთს კერძოდ და საერთოდ საქართველოს, შეძლების და გვარად ქალაქმა გაუწიოს დახმარება და შეიძინოს პაი, ხოლო დაწვრილებით შესწავლა ამ კითხვისა დაეთვალა კომისიას; მეორე საკითხის შესახებ კრებამ გადაწყვიტა, რომ შესდგეს ინტერპარტიული სიბჭო.

დვინის თავისუფალ ვაჭრობის შესახებ მოხსენებაში მ. ესაკიამ ის აზრი გაატარა, რომ ღვინის ვაჭრობის მოსპობით მიზანი არ არის მიდწეული და დიდ ზარალს კი აძლევს ხაზინას და ქალაქსო. მისი აზრით საჭიროა, როგორც ეს სხვაგან შემოღებულია ღვინოს პატენტი დაედვას, დაბეჭდილი ბოთლებით და საჭირო სიბუთებით გაყიდონო.

ქალაქის საბჭო ამ პროექტსაც უკამათოდ ამტკიცებს.

(ეს ყველაფერი კარგი, რასაკვირველია, მაგრამ სანამ ამ ზომებს მიმართავდნენ, საჭიროა დაუყონებლივ მიექცეს ყურადღება ღვინის მოვაჭრეების თავისუფალ თარეშს. დროებით უნდა აკრძალულ იქნას თავისუფალი ვაჭრობა როგორც სამეკიტნოებში, აგრეთვე რესტორნებში, ისე კი, რომ უპირატესობით არავის მიეცეს. ეს ზომა დროებით იმიტომაა საჭირო, რომ ამ ბოლო დროს ისე გაბზარდა ლოთობა სამეკიტნოებში და განსაკუთრებით კი რესტორან „სამოთხეში, რომ ექსესებსაც და უწესოებასაც ალაგი აქვს.

მილიციის უფროსი ამ საქმეში ცალმხრივობას იჩენს. მაგ. ის აქცევს „გულმოდგინედ“ ყურადღებას მხოლოდ განაპირა მეკიტნების საქკიელს და აშკარად, შუა ბაზარში რესტორან „სამოთხეში“ ლოთობას კი არა! კანონი უნდა გახდეს სავალდებულოდ ყველასათვის, და აიკრძალოს ღვინის (რასაკვირველია ზედმეტი) სმა როგორც განაპირა უბნებში, აგრეთვე ცენტრებში, „სამოთხეში“ და სხ.)

თვითმართველობის მოსამსახურეების ჯამაგირის გადაცემის შესახებ, მეორე გამგეობის წევრი პ. ქუთათელაძე აკეთებს მოხსენებას და კითხულობს მათი მოთხოვნილებას ისინი მოითხოვენ, რომ 1. სესხის სახით მიეცემათ თანხა, 2. გაუხსნან კრედიტი 15 ათას მ., 3. მიეცეთ მოსამსახურეებს ხუთი წლიანი ჯამაგირი, 4. გაუდიდონ ჯამაგირები ყველას 500 მ., კრება შეკრიბ ჯამათის შემდეგ ადგენს გაუდიდონ მათ ჯამაგირები 50 პროც. ხოლო დანარჩენი საკითხები და ელექტრონის მუშების მოთხოვნილებანი გადაეცეს გასარჩევად საფინანსო კომისიას. კონკის მოსამსახურეების მოთხოვნილება 150 მან. მომატების შესახებ აგრეთვე გადაეცა განსახილველად საფინანსო კომისიას, მილიციონერებ'ის მიმღებ კომისიის შესახებ, რომელსაც მოითხოვდა ვაჭარმრეწველთა კავშირი, საბჭო უარყოფს მილიციის უფროსის კომპენტენციაში შესვლას და ადგენს დაარსდეს დამხმარე კომისია ნ კაცისაგან შემდგარი.

გაირჩა აგრეთვე, კრებაზე მრავალი წვრილმანი საკითხი და ბოლოს კრება ისმენს გამგეობის წევრის გ. ხოფერიას სამსახურიდან გადადგომის შესახებ თხოვნას. სხდომას ხუთ წუთით შესწყვიტეს. კრების გახსნისას ნ—ნი სამსონაძე (ს. დ.) დადი მწუხარებას გამოსთქვამს ფრაქციის სახელით. „ორატორი“ მოკლეთ ახასიათებს გ. ხოფერიას ენერგიულ და დაუღალავ მუშაობას და ბოლოს უზომო მადლობას უცხადებს მას შრომისათვის. საბჭო იღებს ხმოსან სამსონაძის წინადადებას და აკმაყოფილებს გ. ხოფერიას სურვილს სამსახურიდან გადადგომის შესახებ, ერთი თვით დასასვენებლად განთავისუფლება მოითხოვა საბჭოს თავმჯდომარემ გ. ჩიტაიამ, რომლის თხოვნა კრებამ შეიწყნარა დასასრულ თავმჯდომარეს წინადადებით კრებამ პატივი სცა ფეხზე ადგომით ტრაღიკულად გარდაცვალებულ სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქის მცხეთის შთავარ-ეპისკოპოსის კირიონის ხსოვნას.

ამით კრება დაიხურა სრულს 11 საათზე.

ალ—მა.

კეთილი გულით მოკლვნილი მცირედიც შეინიერების

ჩემ წარსულ მოკლე ნამსახურობის განმავლობაში იმდენი უნარი და „მოხერხება“ ვერ გამოვიჩინე, რომ რაიმე საფ სური ორდენი „ვაშეკრა“ კვერდზედ. ეს საწყენად არ მოჩება, მაგრამ დღეს, როდესაც ჩვენი მთავრობა მრავალგზით მოუწოდებს ყველა იმათ, ვისაც ყუთებში გამოუსადეგრად უწყვიათ ორდენების სახით ოქრო-ვერცხლი—„დაგვეხმარეთ, სამშობლოს სალაროს „რაიმე შემოსწირეთ“-ო; ამ დროს მე შეძლება არა მაქვს ჩემი წვლილი მივიტანო ერის სამსხვერპლოზედ ასეთი ორდენის სახით. ამიტომ ჩემ ერთად-ერთ ვერცხლის ჯვარს დიდი სიამოვნებით უერთებ იმ ოქრო ვერცხლის გროვას, რომელსაც მამულის შვილნი ქართული ხაზინის მტკიცე საფუძვლის ჩასაყრელად აზუქებენ, ეს ჯვარი არის ნაშთი რომანოვების და მათი ერთგულ დამქაშ სინოდის ბატონობისა, რომელზედაც ორთავე არწივიან გვირგვინის ქვეშ შემოკლებით აწერია „ნიკოლოზ II“, ერთ გვერდზედ ჯვარზე ცმული ქრისტე, მეორეზე კი გალალებული თვითმპყრობელი! ძალზე გონივრული შეხამება არ არის ეს დალოცვილი! ასეთი ჯვრის განუყრელად გულზე ტარება გულგრილად და სიამოვნებითაც მაშინ შეიძლებოდა, რომ ეს იყოს მომაგონებელი წარსული ბედნიერებისა, მაგრამ საქმეც იმაშია, რომ ყველა ეს ჩვენი პოლიტიკური და სარწმუნოებრივი დამონების სიმბოლია. ამიტომ ყოველი ქართველისათვის, რომელსაც კიდევ შერჩენია ხალი გონებითი აზროვნება, ეროვნული სახე და თვითმოყვარეობა სრულებით ჯერ კიდევ არ დაჩრდილვია, ის ნივთი, რომელიც იმის სრულ მონობის ხანას ყოველ წუთს აგონებს, უნდა ასე თუ ისე „მოიცილოს. ზოგმა შეიძლება თქვას მღვდელი უჯვროთ რა მღვდელიაო, მაგრამ ეს შემცდარი აზრია. სად იყო წინად ეს ჯვრები, მაგრამ ძველ მღვდელმთავრებს და მღვდელს ტყვილა ხუ შეეფერებით, რომ თვითონ ჩვენ არ შეგვრცხვეს. რომელ საეკლესიო კანონებში ან საღმრთო წიგნებში წერია, რომ აუცილებლად თვალ-მარგალიტებით მოქედილი ჯვრებით ბოიჭრელეთ გულ მკერდი? ეგონი ამას ვერსად შევხვდებით. ქრისტეს მოციქულები და მათი მიმდევარი ძველი ქრისტიანები კი მართლაც რომ მძიმე ჯვარს ატარებდნენ, მაგრამ ოქრო-ვერცხლისას კი არა, არამედ მძიმე გოლგოთის ჯვარს,—მთელი თავისი არსებითი და ცხოვრებით ისინი ქრისტეს სწავლას ეხიარებოდენ. ჩვენ კი ჯვრები გარედან ჩამოვიკიდეთ და გული შიგნით მეტ წილად დავიცალიერეთ; ამასთანავე ვისაც ერთი ჯვრის მაგივრად რამოდენიმე აქვს და მასთან მეტი ღირებულებისა ის მეტი მადლიანი და ცხონებული გვგონია (სააქაოს მართლაც რომ ცხონებულია).. ქართული თქმულება არის: მღვდელს ჭილოფში იცნობენო და ამიტომ ნურავის შეაფიქრიანებს ის აზრი, რომ უჯვროთ ვაი თუ პატისცემა მომაკლდესო. არა, საქმენი შენი დაგაფასებენ შენ! ასე რომ ერთხელ და სამუდამოთ გადავწყვიტოთ. მოვიხსნათ ეს მონობის ნიშნები, გავიმეტოთ და დავეხმაროთ ჩვენს პატარა ხაზინას, მით უმეტეს მეტ წილ დამსახურებულ სამღვდელოებისას ეს ჯვრები უფასოთ აქვთ დარიგებული მადლიერ მთავრობისაგან სახელმწიფოს საერთო სიმდიდრიდან და ეს მეტადრე უნდა უადვილებდესთ მათ ასეთი კეთილი და სიმპატიური საერო საქმისთვის ხელის გაწოდებას. შეიძლება ზოგი ცოდვილი მოიპოვებოდეს და ამ ნიშნებს უფრთხილდებოდეს სანუკვარ დროს მოლოდინში, რომ ერთხელ კიდევ მაინც სიამოვნებით გამოამზეურონ „წარსულ ნეტარ დროს მოსაგონებლად“. ღმერთმაც ნუ მოასწროსთ!“

ადბულახი. —მცირე მღვდ.

მე 6 ქართ. პოლკ.-ბ. სარალიძე.

მკათათვის 8 1918 წ.

წერილი რედაქციის მიმართ.

მოქალაქე რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით ულრმეს მადლობა გამოუცხადოთ იმ პირთ, რომლებმაც სახალხო სახლის ასაშენებლად დ. აბაშაში მოაგროვეს ფულები თავის ნაცნობებში და აგრეთვე იმ პირთ, რომლებმაც თავისი წვლილი ფულით შემოიტინეს და ამგვარად სახალხო სახლს საფუძველი ჩაუყარეს. პირველი ნომრის სია: შალვა იოსელიანი 30 მან. იკო თოფურიძე 20 მან. გრიგოლ ხინტკირია 10 მან. ნესტორ ჭიშკარიანი 2 მან. დავით ქუთათელაძე 25 მან. სანდრო ჭილაშვილი 2 მან., იოსებ დადიანი 35 მან., დავით ჯორჯაძე 5 მან., ივანე თურქია—10 მ., ვასილი ბიქილიშვილი 5 მან., ვასილი გოგინოვი 5 მან.. ივანე მაჩაბელი—10 მან., ნესტორ აბაიშვილი—5 მ., ვიბორნაია—5 მან., კოსტა გვამიჩავა—2 მან., ფარულავა—5 მან., ვლ. ხელაშვილი—5 მან., გრიგოლ მიასნიკოვი—10 მ., რ. ბებიაშვილი—10 მან., ი. დ. ხოსიტაშვილი—10 მან., გოგიაშვილი—3 მ., ალექსანდრე პაპუაშვილი—10 მან., როხმანოვი—5 მან., დათიკო ძამაშვილი 50 კ., ს... 10 მ., მიხეილ მირველოვი—3 მან., დიმიტრი მელაძე—25 მ., გიორგი გუგუშვილი—20 მან., ჯვეტე იოსელიანი—20 მან., მიტო მელაძე—2 მან., 50 კ. სულ 300 მანეთი: შეგროვილია მარიამ პავლეს ასული მელაძის მიერ. გიორგი ჯორჯიკია—100 მან. მეორე ნომრის სია: პეტრე და სილოვან ცომაიები—50 მ. ალექსანდრე თოფურია—25 მ., კოსტანტინე ჯანაშია—5 მ., იოსები კვადავა—3 მან., ბიკენტი ელიავა—5 მ ფარნაოზი კოკაია—20 მ. ისაკი გოგიშვილი—10 მ., დავითი ხუნწარია—3 მ., ვლადიმერ ნიკოლაიშვილი—3 მ., სამსონ დარასელია—1 მ., ივანე ცომაია—5 მ., 3.. 95 კ., დოლა კოკაია 15 მან., ანეტა მატკავას ასული—5 მან., ნიკო თოფურია—5 მან., ეპიფანე თოფურია—5 მან., პეტრე ძალხარაძე—25 მან., პორფილე კუპრავა—10 მ., სულ 200 მ., 95 კ., შეგროვილია ს. ცომაიას მიერ. ფესამე სია. გეურგ კირაკოზოვი—3 მ., ირაკლი გეგეჭკორი—3 მან., ტარასი ქოიავა—3 მან., კოსტა ქორჩილავა—3 მან., ბაგრატი კორძახია—3 მან., ბარათაშვილი—3 მ., ივანე... 3 მან., ლუკა გოცირიძე—2 მან., იაკობ მონიავა—2 მ., გრიგოლ ქოიავა—3 მ., ოიკტორ კუცია—3 მ., ივანე ბერია—5 მან., უცხობი—1 მან., იოსები ბერიაშვილი—3 მ., გერასიმე შალამბერია—1 მ., პავლე ქოიავა—10 მ., სანდრო ქოიავა—3 მან., იასონ წულუკიძე—1 ძან., ერმილე ბებებია—2 მ., ანტონი შოთაძე—3 მან., ძალაქია ქოიავა—20 მან., ამროსი ქოიავა—5 მან., სულ 85 მან., ბეოთხე სია! ევგენი პერტენავა 50 მ., გაბო გეგიშიძე—30 მან., ვანო ქავაშვილი—20 მან., ძიორონი მაჩაიძე—10 მ., ავქსენტი... 20 მან., კოლა—4 მან., ტახია—3 მ., ჯინორიძე—100 მ., ჯიხორიძეს.. 50 მან. სულ 287 მ., სპირიდონ ჯორჯიკიამ თავის აწ განსვენებულ დის ნატაშა მასხულიასი სახსოვრად შემოსწირა 100 მ., იმავე მიზნით ალექსანდრე ხოფერიამ—50 მ., და ვასილ მასხულიამ—10 მან.,

აბაშის რაიონის სახალხო სახლის საალაშენებლო კომიტეტის დავალებით ფ. ჩოჩია:

P. S. ვინაიდან ზემოხსენებული პირობი სხვა და სხვა მიმართულებისაა, ამიტომ თანახმად მათი თხოვნისა ვთხოვ „ერთობას“ და „საქართველოს ეს წერილი გადაბეჭდონ. ფ. ჩ.

—

ამხ. რედაქტორო!

გთხოვთ ნება გვიბოძოთ თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გადაუხადოთ ტფილისის ქართველ ქალთა საზოგადოებას ჯარას შემოწირვისათვის, სოფელ რუისის ქალთა საზოგადოების საფეიქრო სასწავლებლისათვის.

გამგეობა.

—

ამხ. რედაქტორო!

გთხოვთ ნება გვიბოძოთ თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გადაუხადოთ ქართველ მევენახეთა საზოგადოებას ასი მანათის შემოწირვისათვის შინდისის ქალთა საზოგადოების მომავალ „საფეიქრო სასწავლებლისათვის.

გამგეობა.

გამომცემელი
ალექსი ფიანცახალაძე
წმუნებული მთავარ კომიტეტისა

ექიმი
ვ. მუსხელიშვილი
ღებს ავადმყოფთ დღის 12—2 საათ.
ვერიდანოვის ქ. № 6.

კბილის ექიმი
პონსტანტინე არდაზიანი
განაახლა ავადმყოფების მიღება 11—2 საათამდის. მელიქოვის ქუჩა № 11
ექიმი არდაზიანის ბინა. 1219

ექიმი
ბ. ი. ფანცახალაძე
შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ავადმყოფებს მიიღებს დილით 11—1 ს. საღამოს 5—7 ს. მადათოვის ქუჩა № 7. ტელეფ. 17—49. 1158

ექიმი
ნ. ი. მახვილაძე
იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, ხინინის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვ. შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5—7 ს. ელექტრიზაცია და მასსაჟი. მისამართი მუხკვიანის ქ. № 11. 426

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, ყოველ დღე, ქვირის გარდა საღამოს 5—7 საათამდე. გუნიბის ქუჩ. № 41. ტელეფ. 14—09. 1082

ექიმი
კ. ტყეშელაშვილი
დებულობს ავადმყოფებს ვენერიული, საშარდე და სასქესე მილის სნეულებანი, სიფილისი (606 და 914 შეშხაპუნება). საღამოობით 5½—7 საათ. ყოველ დღე გარდა კვირისა კერძო სამკურნალო მიხაილოვის პროსპექტი № 167. 200

ექიმი
ფ. ა. მიქელაძე
მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ-დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 117.

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს).
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ
ყოველ დღე (გარდა კვირისა
დილით:
„606“ და „914“ 11—12 ს.
ბ. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის. ავადმყ.)
ვ. ი. მაშნერი: 9—10 ს. ქალებისა და საშარდისა.
ბ. ვ. აგახანოვი: 9½—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
ავეტისიანი—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს 11½ ს.
მ. მ. ბენიამოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
ბ. ვ. ავეტიხიანი—9—11 ს. საკუთრივ ბავშვთა ავადმყ.
ი. ი. ტერ გრიგორიანცი: 1—2 ს. შინაგანი.
ხ ა ღ ა მ ო თ ი:
ა. ნ. ხაკიანი: 6—7 ს. ქალური ავადმყ. და ქირურგიული.
რჩევა-დარიგება 1 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნავასარდიანი. 1019

ექიმ
ბ. მ. მუხაძე
კოჯორში გაემგზავრა და აქ ავადმყოფების მიღება 1 აგვისტომდე შეჩერებულია. 1030

ექიმი
ე. ლ. ფალამბერიძე
იღებს საბებიო და საშვილოსნოს ავადმყოფთ, საღამოს 5—7 ს. მისამართი ბეტროგრადის ქ. № 7. 1027

ექიმი
პავლე არდაზიანი
დაბრუნდა. იღებს ბავშვთა და შინაგან ავადმყოფთ, დილის 8—9 ს. და საღ. 4—6 ს. მელიქოვის ქ. 12, 9 უბანი. 1009

ექიმი
ბ. ი. ფანცახალაძე
შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ავადმყოფებს მიიღებს დილით 11—1 ს. საღამოს 5—7 ს. მადათოვის ქუჩა № 7. ტელეფ. 17—49. 1158

ექიმი
ნ. ი. მახვილაძე
იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, ხინინის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვ. შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5—7 ს. ელექტრიზაცია და მასსაჟი. მისამართი მუხკვიანის ქ. № 11. 426

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, ყოველ დღე, ქვირის გარდა საღამოს 5—7 საათამდე. გუნიბის ქუჩ. № 41. ტელეფ. 14—09. 1082

ექიმი
კ. ტყეშელაშვილი
დებულობს ავადმყოფებს ვენერიული, საშარდე და სასქესე მილის სნეულებანი, სიფილისი (606 და 914 შეშხაპუნება). საღამოობით 5½—7 საათ. ყოველ დღე გარდა კვირისა კერძო სამკურნალო მიხაილოვის პროსპექტი № 167. 200

ექიმი
ფ. ა. მიქელაძე
მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ-დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 117.

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს).
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ
ყოველ დღე (გარდა კვირისა
დილით:
„606“ და „914“ 11—12 ს.
ბ. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის. ავადმყ.)
ვ. ი. მაშნერი: 9—10 ს. ქალებისა და საშარდისა.
ბ. ვ. აგახანოვი: 9½—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
ავეტისიანი—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს 11½ ს.
მ. მ. ბენიამოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
ბ. ვ. ავეტიხიანი—9—11 ს. საკუთრივ ბავშვთა ავადმყ.
ი. ი. ტერ გრიგორიანცი: 1—2 ს. შინაგანი.
ხ ა ღ ა მ ო თ ი:
ა. ნ. ხაკიანი: 6—7 ს. ქალური ავადმყ. და ქირურგიული.
რჩევა-დარიგება 1 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნავასარდიანი. 1019

რძე
ძუძუ მწოვარა ბავშვებისთვის; სწმენდს და ამზადებს ბავშის ჰასაკის მიხედვით
ექიმი ქალი
ჩაწერა შეიძლება 3—6 საათამდე, ნიკოლოზის ქ. № 88, ტელ. 11—14. 754

სტამბა
„სახალხო საქმე“
იღებს ყოველგვარ სასტამბო საქმეებს: ყოველნაირ გამოცემათა, აფიშების, სადარბაზო მარათების, კანტორის წიგნების და სხვათა დაბეჭდვას.
საქმე სრულდება სუფთად და თავის დროზე
კანტორა მოთავსებულია ქუჩის პირად. ბარონის ქუჩა № 14. ტელეფონი 17—96.